

N 29/01-11
29/03/2021

29-01-11-2-202103291820



ქალბატონ ნაზობროლა რეხვიაშვილის

(პ/ნ 62011003485, მისამართი: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. 6, ბ.43)

ასლი: ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარეს

ქალბატონ თინათის ზოიძეს

ქალბატონო ნაზობროლა,

თქვენი 2021 წლის 18 თებერვლის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ტურისტული პროდუქტების განვითარების საგენტო 2015 წლიდან დღემდე აჭარაში ახდენს ახალი ტურისტული ბილიკებისა და მარშრუტების მარკირებას. მარკირების პროცესი გულისხმობს იდენტიფიცირებული მარშრუტების, მათ შორის გარდამავალი, ქსელური მარშრუტების მარკირებას და უკვე მარკირებულ მარშრუტებზე არსებული, ახალგახსნილი ტურისტული ობიექტების, კერძოდ; საოჯახო სახლების, სასტუმროების, კვების ობიექტებისა თუ საკარვე ადგილების მუდმივი განიშნულიანების პროცესის განხორციელებას.

თქვენი მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით ინფორმაციას აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში მარკირებული მარშრუტების ჩამონათვალს წლების მიხედვით, ასევე 2021 წელს დაგეგმილი და განსახორციელებელი ტურისტული მარშრუტების ჩამონათვალს.

1. **2015 წელს** მომზადდა მარკირების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტურისტული მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები მოეწყო ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში. მარკირებისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხის მოცულობა შეადგენდა -10 000 ლარს.

მარშრუტების მარკირებით შეიქმნა ახალი ტურისტული მიმართულებები:

- მაჭახელას კულტურულ - ისტორიული მარშრუტი;
- ველო მარშრუტი ბათუმი - მირვეთი - ბათუმი.
- შეიქმნა ახალი ტურისტული მიმართულება სოფელ გობრონეთში.

2. **2016 წელს** მომზადდა მარკირების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტურისტული მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები მოეწყო ხულოს, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. მარკირებისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხის მოცულობა შეადგენდა - 42 950 ლარს.

მარშრუტების მარკირებით შეიქმნა ახალი ტურისტული მიმართულებები:

- სხალთა-სოფ. ხიხამირი-ხიხანის ხეობა;
- ღვინის მარშრუტი;
- ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმაზე - შუამთა (სოფ. ჩაისუბანი);
- ტურისტული მანიშნებლები დამონტაჟდა კურორტ გოდერძის სამთო-სათხილამურო მარშრუტზე და სოფ. დანისპარაულში;
- ტურისტული მანიშნებლები მოეწყო შუახევი-დარჩიძეები-ჩირუხის ტურისტულ მარშრუტზე.

3. **2017 წელს** მომზადდა მარკირების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტურისტული მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები მოეწყო ქედის, ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. მარკირებისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხის მოცულობა შეადგენდა - 35 000 ლარს. მარშრუტების მარკირებით შეიქმნა ახალი ტურისტული მიმართულებები:

- სოფელი მერისის ტურისტული მარშრუტი;
- დამონტაჟდა მანიშნებლები გოდერძი-მწვანე ტბა-გოდერძის ალპური ბაღის წრიულ მარშრუტზე;
- დამონტაჟდა მანიშნებლები აჭარის რეგიონში არსებულ ყველა დაცულ ტერიტორიების საზღვრამდე მისასვლელ გზებზე, კერძოდ: მაჭახელას ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, კინტრიშის დაცული ტერიტორიები;
- მოეწყო მანიშნებლები ფრინველების დაკვირვების პლატფორმამდე მისასვლელ გზაზე - სოფელ სახალვაშოში.

4. **2018 წელს** მომზადდა მარკირების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტურისტული მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები მოეწყო ქედის, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. მარკირებისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხის მოცულობა შეადგენდა - 41 100 ლარს.

მარშრუტების მარკირებით შეიქმნა ახალი ტურისტული მიმართულებები:

- გობრონეთი-ლატევრას მთის მარშრუტი;
- თაგო-სხალთის საფეხმავლო მარშრუტი;
- სახალვაშო ფრინველების დაკვირვების პლატფორმაზე მოეწყო მანიშნებლები (დამონტაჟდა ტურისტული ნიშნულები მარშრუტზე არსებულ საოჯახო სასტუმრო სახლებზე);
- მოეწყო მანიშნებლები ქედლები- ელედიძეების საოჯახო სასტუმრო სახლებზე;
- მოეწყო მანიშნებლები კორომხეთსა და ვაიოში მდებარე საოჯახო სასტუმრო სახლებისა და ღვინის მარნებისთვის.

5. **2019 წელს** მომზადდა მარკირების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტურისტული მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები მოეწყო ქედის, შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. მარკირებისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხის მოცულობა შეადგენდა - 41 225 ლარს.

მარშრუტების მარკირებით შეიქმნა ახალი ტურისტული მიმართულებები:

- ჩირუხი - ხიხანი - გოდერძის ალპური მარშრუტი;
- ტურისტული მანიშნებლები მოეწყო საოჯახო სასტუმრო სახლებსა და ღვინის მარნებზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. ჭარნალი და მაჭახელას ხეობა); ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. ძენწმანი, მახუნცეთი და სოფ. ვაიო) მდებარე საოჯახო სასტუმრო სახლებსა და ღვინის მარნებზე; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში (სოფ. ლაკლაკეთი და სოფ. ცხემლისი) მდებარე საოჯახო სასტუმრო სახლებსა და ღვინის მარნებზე.

6. **2020 წელს** მომზადდა მარკირების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ტურისტული მანიშნებლები და საინფორმაციო დაფები მოეწყო ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. მარკირებისთვის ბიუჯეტიდან გახარჯული თანხის მოცულობა შეადგენდა -80 000 ლარს.

მარშრუტების მარკირებით შეიქმნა ახალი ტურისტული მიმართულებები:

- სოფ. ჭახათი-კინტრიშის დაცული ტერიტორიები-ხინოწმინდის მონასტერი-სოფ. ცხემლისი-კურორტი გომისმთა-სოფ. ხაბელაშვილები - ქსელური მარშრუტი;
- ღორჯომის ხეობა-მთა ლეკნარი-კურორტი ბახმარო. (არასამთავრობო ორგანიზაცია კარიტასმა გამოყო გრანტი პროექტის განსახორციელებლად);
- კაპნისთავის ჩანჩქერები;
- ჩირუხი-შუამთის ტბები-გოდერძის უღელტეხილი;
- ტურისტული მანიშნებლები მოეწყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (მუხაესტატე, ბუკნარი, ზოიძეები) მდებარე ღვინის მარნებზე. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში (დანდალო, კოკოტაური, ვაიო) მდებარე საოჯახო სასტუმრო სახლებსა და ღვინის მარნებზე; შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურში არსებულ საოჯახო სასტუმრო სახლებსა და ღვინის მარანზე და ხულოს მუნიციპალიტეტში დაბა ხულოს ტერიტორიაზე არსებულ საოჯახო სასტუმრო სახლებზე.

7. ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციასა და განვითარებისათვის ჩვენი **2021 წლის** სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებაა ტურისტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ: მარშრუტების მარკირების პროექტები, მანიშნებლები, საინფორმაციო დაფები, ახალი ტურისტული პროდუქტების პროექტირება, კვლევა და მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, რისთვისაც გათვალისწინებულია ჯამში 1 320 000 ლარი, რომლისგანაც 155 000 ლარი განკუთვნილია ახალი ტურისტული პროდუქტების კვლევისა და მარკირებისათვის, ხოლო 1 165 000 ლარი განკუთვნილია მარშრუტების განვითარებასა და მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის.

რაც შეეხება ახალ მარშრუტებსა და მიმართულებებს, რაც 2021 წლის სეზონისთვის ამოქმედდება არის:

- 1) უჩხოს ჩანჩქერების კანიონის მარშრუტი;

- 2) ღორჯომი - მთა ლეკნარის - ბახმაროს მარშრუტი;
- 3) ჭვანა - ჯვარიმინდორი - კინტრიში - გომის მთის მარშრუტი;
- 4) კაპნისთავის ჩანჩქერების მარშრუტი;
- 5) ჩირუხი - ხიხანი - გოდერძის მარშრუტი (მოეწყო ახალი საპიკნიკე ტერიტორია);
- 6) საფეხმავლო - ველომარშრუტი შუახევი - კავიანის ციხე - დანდალოს ხიდი.

2021 წელს ახალი ტურისტული პროდუქტების კვლევისა და მარკირების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები:

- დაგეგმილია ტურისტული პოტენციალის კვლევა აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით, საღამომოდ მიმზიდველი მთებისა და ტურისტულად საინტერესო ტყეების ტურისტული პოტენციალის შესწავლა და მათთან დამაკავშირებელი გარდამავალი მარშრუტების იდენტიფიცირება, აღწერა და მარკირებისთვის მომზადება. დაგეგმილია მეკლდეურობის განვითარების პოტენციალის შეფასება, შერჩეული ერთი კლდევანი რელიეფის გეოლოგიური და პეტროგრაფიული კვლევა. კვლევის ფარგლებში დაგეგმილია ასევე ტურისტულად მიმზიდველი და თემატური სოფლების იდენტიფიცირება და სოფლებში არსებული საოჯახო სახლების, რეწვის ოსტატების და ხეობისთვის დამახასიათებელი, ტრადიციული კერძების აღწერა. (ჯამში 10 სოფელი);
- დაგეგმილია მარშრუტების და ტურისტულად მიმზიდველი ლოკაციების მარკირება. ელექტრონული შესყიდვა ჯერ არ განხორციელებულა;
- უკვე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი ხულოს მუნიციპალიტეტში, გოდერძის ალპური ბაღის საფეხმავლო ბილიკზე ტურისტული მანიშნებლების დამზადება, მონტაჟის სამუშაოების შესრულებაზე (40 000 ლარი);

2021 წელს დაგეგმილია ტურისტული პროდუქტების განვითარებისა და მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტები:

- საპროექტო დოკუმენტის შესაბამისად კავიანის ციხის გავლით, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებზე გარდამავალი საველოსიპედ ბილიკის მშენებლობა;
- ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედა თხილვანაში, ხიხანის ციხეზე ასასვლელი ბილიკის მშენებლობა;
- უკვე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი შუახევის მუნიციპალიტეტში, ჭვანის ხეობაში (ჯვარიმინდორი), საზაფხულო იაილებზე, ზღ. დონიდან 2000 მ. სიმაღლეზე, 10-15 ადამინზე გათვლილი ტურისტული თავშესაფრის საპროექტო დოკუმენტის შესყიდვა;
- პროექტის საფუძველზე ტურისტული თავშესაფრის მშენებლობა (ჯვარიმინდორზე გადის ახალმარკირებული საფეხმავლო, ქსელური მარშრუტი, კერძოდ: ჭახათი-ცხემვანა-ხინოწმინდის მონასტერი-ჯვარიმინდორი-კურორტი გომისმთა, რომელიც ყველაზე გრძელი საფეხმავლო მარშრუტია, მისი სიგრძე 88 კილომეტრია);
- საპიკნიკე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების შესრულება შუახევისა (ჯვარიმინდორის ტერიტორიაზე) და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში;

- ხულოსა და ქედის მუნიციპალიტეტებში ტურისტული ბილიკების გაჭრა გაფართოების საპროექტო დოკუმენტის შედგენა. პროექტი ითვალისწინებს ხულოსა (უჩხოსა და თაგოს ტყეები) და ქედის მუნიციპალიტეტებში (ორი-მთის ბილიკის) - საფეხმავლო ბილიკის გაჭრა-გაფართოებისთვის პროექტის შედგენას;
- საფეხმავლო ბილიკის გაჭრა-გაფართოებისთვის პროექტის საფუძველზე ბილიკის მშენებლობა (უჩხოში);

ზემოაღნიშნულ 2021 წლის ტურისტული პროექტების შესყიდვის მიზნით სატენდერო პროცედურების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ტურისტულ მარშრუტებზე სხვა შესაბამისი საჭირო მცირე ინფრასტრუქტურის დაგეგმვის ღონისძიებები, რომლებზეც ელექტრონული ტენდერები ეტაპობრივად გამოცხადდება.

პატივისცემით,

ლეილა გოგუაძე

დირექტორი

